# საპროექტო ობიექტის ისტორიულ არქიტექტურული და საარქივო კვლევა და რეკომენდაცია

## ტურგენევის ქ. №11/24



შემსრულებელი
გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
სექტემბერი
თბილისი
2009

## 1. ადგილმდებარეობა

წარმოდგენილია საპროექტო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს თბილისის ისტორიულ ნაწილში, კუკიაზე (ძველი თბილისის გამგეობა), ტურგენევისა და ჩიქობავას ქუჩების კუთხეში მდებარე ერთსართულიანი საცხოვრებელ სახლის №11/24 ეზოს ფასადის რეკონსტრუქცია-ადაპტაციას.




თბილისის არქიტექტურულ ძეგლთა რუკა (ფრაგმენტი)
რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოშრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

საპროექტო ნაგებობა წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს. ამ მიკროუბანში კიდევ რამდენიმე არქიტექტურული ძეგლია:

ჩიქობავას ქუჩაზე – №№20, 33, 34, 45/2;
ტურგენევის ქუჩაზე – №№4, 6, 11/24;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1



აეროფოტო, 2006წ.

## 2. განაშენიანების განვითარება

ეს უბანი თბილისის განაშენიანებაში შევიდა XIX ს-ის შუა ხანებში. ამავე დროიდან აქ დაიკვალა ქუჩათა მოწესრიგებული ქსელი და თანდათან დაიწყო უბნის ინტენსიური განაშენიანება (XIX ს-ის თბილისის რუკებზე ჩანს ამ უბნის ქუჩათა ქსელის განვითარება).

თბილისის ისტორიულ რუკებზე 1850-იან წლებამდე აქ, ისევე როგორც ჩუღურეთში, ქაოტური დასახლებაა გამოსახული. თბილისის! 1859 წ. რუკაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე უკვე ჩანს პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩების რეგულარული განაშენიანების ჩანასახი, რომელიც აქ არსებულ ბაღებზეა დაპროექტებული. ამავე დროიდან ამ უბანს კუკია ეწოდა.

ეს განაშენიანება აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრული იყო ავჭალის გზით, რომელზეც დაიკვალა ავჭალის ქუჩა – შემდგომში საბჭოს ქუჩა, დღეს ჩიქობავას და ჩიტაიას ქუჩები. თანდათან განაშენიანება ამ გზის ზემოთაც განვითარდა და სახელწოდება კუკია სწორედ ამ ზედა მონაკვეთს გადაერქვა.




კუკია, 1910-იანი წწ
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©
წითელი ელიფსით აღნიშნულია დღევანდელი საპროექტო ტერიტორიის ადგილი

## 3. ნაგებობის ისტორია

აგების თარიღი – 1898წ. გადაკეთებულია რამდენჯერმე XXს-ში;

შემკვეთი – ვასილი დავითის ძე ყორღანოვი;

არქიტექტორი – პროექტზე არქიტექტორი არ არის აღნიშნული;

არქიტექტურული სტილი – ფსევდო-კლასიცისტური ტიპის ფასადები.

ჩვენს ხელთაა ამ სახლის თავდაპირველი პროექტი (1898წ.) დაცული საქართველის ცენტრალურ ისტორიულ არქივში ფ.192 8ა №5609. აქვე დაცულია მეორე საქმეც – ფ №192 8ა, № 5839 ამავე სახლის სარდაფის კიბის გადაკეთების შესახებ. თავდაპირველ პროექტთან შედარებით განსხვავებულია ნაგებობის დღევანდელი საფასადო სახე და ოდნავ განსხვავებულია გეგმარებაც, თუმცა ძირითად პარამეტრებში ნაგებობის დღევანდელი გეგმა ამ პროექტის მიხედვით არის შესრულებული. ბოლო დროს ამ სახლში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი. ამჟამად აქ განთავსებულია დაწესებულება შ პ ს „ისთ გეით გრუპი“..




პროექტი, 1898წ. ფასადი, გეგმები, სარდაფის და I სართულის გეგმები, ჭრილები

**სამშენებლო ფენები –**







პროექტი, 1898წ.

**XIX ს. II ნახ.** – თავდაპირველად ამ ადგილას იდგა დავით ყორყანოვის სახლი, რომლიც დღესაც არის შემორჩენილი. 1898 წლის პროექტზე იგი აღნიშნულია ვარდისფრად, როგორც იმჟამად არსებული ნაგებობა. ეს იყო ეზოს მხრიდან აივნებით შემოფარგლული მართკუთხა სახლი, სარდაფის მაღალი სართულით. რა ნაგებობა იდგა მის მარცხენა მხარეს 1898 წლის პროექტში არ არის აღნიშნული. შესაძლოა, რომ ახალ ნაგებობაში გამოყენებული იყოს ძველი სარდაფის საყრდენი კედლები, რისი დადგენაც მხოლოდ ზონდაჟებით და შურფებით არის შესაძლებელი (ამის გარკვევა ამჟამად არ არის ჩვენი კვლევის მიზანი);







**XIX ს. 90-იანი წწ.** – 1898 წლით დათარიღებულ პროექტში გამოხაზული სახლის ფასადი განსხვავდება დღეს არსებული ფასადისგან. როგორც ჩანს პროექტი განხორციელდა ცვლილებებით. მას არ აქვს კუთხეში დაპროექტებული შპილი. იმავე დროს ტურგენევის ქუჩაზე უკვე არსებული სახლის ფასადიც მოეწყო ახლად აგებული სახლის ფასადის ანალოგიურად.

**XX ს.** – ათწლეულების განმავლობაში განხორციელდა ზოგიერთი გეგმარებითი და საფასადო ცვლილება. თავდაპირველად ჩიქობავას ქუჩის მხრიდან სახლის ფლანგზე დაშენდა II სართული, რომლის საფასადო სახე მოეწყო არსებული ფასადის ანალოგიურად. XX ს-ის ბოლოს ნაგებობის ცენტრში დაშენდა კუბის ფორმის მოცულობა. ამგვარად ნაგებობა ადაპტირებული იქნა XX ს-ის მეორე ნახევარში, ჩატარდა რემონტი, ფასადები შეკეთდა და სახლის სტრუქტურამ მიიღო დღევანდელი სახე.

## 4 ქუჩის სტრუქტურა

ჩიქობავას ქუჩა საკმაოდ განიერია და ამ უბნის ცენტრალურ მაგისტრალს წარმოადგენს. ეს ქუჩა იწყება ჩულურეთში, გოგიბერიძის ქუჩასთან და მთავრდება ყოფილ საბჭოს მოედანთან სადაც ერწყმის გ. ჩიტაიას ქუჩას. ქუჩა ოდნავ დაქანებულია. იგი ორივე მხარეს მჭიდროდ არის განაშენიანებული ერთ და ორ (იშვიათად სამ) სართულიანი საცხოვრებელი სახლებით და გამოირჩევა მშვიდი, გაწონასწორებული რიტმით.

ტურგენევის ქუჩა წარმოადგენს 15 მ-დე სიგანის და 170 მ-დე სიგრძის, ოდნავ დაქანებულ სწორ მონაკვეთს, რომელიც მოქცეულია ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) და ივ. ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქუჩებს შორის. ქუჩა ორივე მხარეს მჭიდროდ არის განაშენიანებული ერთ და ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლებით და ასევე გამოირჩევა მშვიდი, გაწონასწორებული რიტმით.

ტურგენევის ქუჩაზე სახელმწიფოს მიერ არქიტექტურული ძეგლებად აღრიცხულია სახლები საპროექტო ობიექტის მოპირდაპირე ლუწრიცხვებიან რიგში №4 და №6. ასევე არქიტექტურული ძეგლია თავად საპროექტო სახლი №11/24.


ტურგენევის ქ. სახლი №4


ტურგენევის ქ. სახლი №6


ტურგენევის ქ. სახლი №7

შენობათა ფასადები აქ დახვეწილი დეკორით გამოირჩევა, ფასადები ეკლექტიკური ხასიათისაა: შემკულია ფსევდოკლასიცისტური და ფსევდორენესანსული სტილისათვის დამახასიათებელი მორთულობით.

## 5 .საპროექტო ნაგებობა

რთული გეგმარების ნაგებობა შედგება სხვადასხვა დროის რამდენიმე მოცულობისგან. ეს სტრუქტურა Г-ს ფორმისაა და სხვადასხვა სიმაღლის ფასადებით მახვილი კუთხით შემოფარგლავს ჩიქობავასა და ტურგენევის ქუჩების კუთხის მონაკვეთებს. ჩიქობავას ქუჩის ფლანგზე ნაგებობა ორსართულიანია. ქუჩების კუთხეზე ერთსართულიანი ფასადით გამოდის. ტურგენევის ქუჩის მხრიდან კი მაღალ ცოკოლზეა შემომდგარი და ფლანგისკენ ორ სართულადაც გამოდის.

ნაგებობას ფსევდოკლასიცისტური სტილის ეკლექტიკური იერის, ვარდისფრად დაფერილი ფასადები აქვს. ფასადი დანაწევრებულია ნალესობით მოჩარჩოებულ სარკმელთა დიდი სწორკუთხა ღიობებით, რომლებიც გაფორმებულია სანდრიკებიანი თავსართებით. სართული ცოკოლისგან გამოყოფილია თარო ლავგარდანით. ასეთივე ლავგარდანი სრულდება ნაგებობა ჩიქობავას ქუჩის მხრიდან. ტურგენევის ქუჩიდან კი ანალოგიურ ლავგარდანს აგვირგვინებს შუაში გაწყვეტილი, ასევე საფეხუროვანი მაღალი პარაპეტი.







ტურგენევის ქუჩაზე ფლანგის ორსართულიანი მონაკვეთი ანალოგიური მხატვრული ხერხებით არის გაფორმებული. მათ შორის ცენტრში სადარბაზო შესასვლელია.




თავდაპირველ პროექტზე ჩანს, რომ ნაგებობა ეზოს მხრიდან მოცული იყო ხის გალერეა-აივნებით, როგორც სარდაფის, ასევე ზედა სართულზეც. გვერდით მოკლე ფასადზე მას ჰქონდა ერთგვარი ნაშვერი. ქუჩისპირა გალავანთან კი გალერეის მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. მოგვიანებით გალერეა გააგანიერეს ნაშვერამდე, კიბე კი გადაიტანეს მარჯვენა ფლანგზე.







გალერეის გრძივ ფასადზე შემორჩენილია ხის თავდაპირველი სვეტები და იატაკის საყრდენი კოჭები.

სახლი გადახურულია ხის ნივნივებზე მოწყობილი თუნუქის ორქანობიანი საბურავით. სახლის საბურავი ქუჩიდან არ აღიქმება, თუმცა ჩანს შორი ხედვითი წერტილებიდან.

**დაზიანებები** – დაზიანებულია შენობის ხის კონსტრუქციები და შელესილობა ეზოს ფასადზე.

## დასკვნა და რეკომენდაცია

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

1. მაღალ ცოკოლის სართულზე მდგომი მართკუთხა სახლი აგებულია 1880-იან წლებში აქ არსებული ადრინდელი ნაგებობების ნაცვლად და შესძლოა გამოყენებულია მათი სარდაფი და კედლების ნაწილი;

2. 1898 წელს შედგენილი პროექტით მასზე ჩიქობავას ქუჩის კუთხისკენ მიშენებულია ცოკოლზე შემომდგარი ერთსართულიანი მოცულობა;

3. იმავე დროს ეს სახლი გადაკეთდა, თუმცა 1898წლის საპროექტო ნახაზი რეალობაში შეცვლილია. სახლის პროექტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში (იხ. ზემოთ);

4. XX ს-ის განმავლობაში მოხდა სხვადასხვა ზომის მოცულობების დამატება ფასადის და ეზოს მხრიდან. რამდენჯერმე ჩანს ჩატარებული ფასადების რემონტი (დაზიანებული ნაწილების შებათქაშება და ხელახალი დაფერვა, საწვიმარი მილების შეკეთება);

5. პრაქტიკულად ფასადს შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე. დამატებულია მეორე სართულის ნაგებობის ცენტრში და ჩიქობავას ქუჩიდან;

6. აღსადგენია გალერეა-აივნების მოაჯირები. აღსადგენია შელესილობა გალერეის უკან. მოსაწესრიგებელია სარდაფის სართულის გალერეა და დერეფანში ჩასასვლელი კიბე;

7. პროექტში აღნიშნულია გალერეა-აივნები ნაგებობის ეზოს ფასადებზე. ჩიქობავას ქუჩის მხარეს შესაძლოა გალერეები შემინული იყო, რადგან პროექტში ჭრილზე, გალერეეს გარე პერიმეტრზე სარკმლებია აღნიშნული;

8. ეზოს გრძივ ფასადზე ხის სვეტები შემორჩენილია და სავარაუდოა, რომ აქ ღია აივანი უნდა ყოფილიყო;

9. ჩვენთვის არ არის ცნობილი იყო თუ არა თავდაპირველად გახსნილი გალერეა-აივანი მოკლე ფასადზე. ცნობილია, რომ აივანი ამ შენობაში საბავშვო ბაღის არსებობის დროს შემინული ყოფილა, უკანასკნელ ხანს კი ღია, როგორც ეს ჩანს 2005 წელს გადაღებულ ფოტოზე;

10. ამჟამად გათვალისწინებულია ნაგებობის ეზოს ფასადის გალერეა-აივნების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;

11. ადაპტაციის გაგრძელება შესაძლებელი ჩანს ინტერიერის ფუნქციური საჭიროებისათვის, ოღონდ ადაპტაციამ არ უნდა დააზიანოს ნაგებობის ზოგადი ავთენტური სახე;

12. სასურველია, რომ გრძივ ფასადზე აივანი კვლავ ღია დარჩეს და შეკეთდეს ხის დაზიანებული სვეტები. მოაჯირი უმჯობესია მოხარატებული ფიცრებისა იყოს, ვიდრე რიკულებიანი;

13. სასურველია, რომ ხის ფაქტურა ჰქონდეს ახალ სვეტებს მოკლე ფასადზეც და ახალი ფუნქციური მოთხოვნილების გამო კი არ ამოშენდეს, არამედ შეიმინოს ავთენტური მასალით, რათა არ იყოს ამოვარდნილი არსებული არქიტექტურული კონტექსტიდან;

14. მნიშვნელოვანია, რომ ეს სამუშაო განხორციელდეს ხარისხიანად.

ხელოვნებათმცოდნე გია ჭანიშვილი
22.09.09



ფ №192 8ა, საქმე № 5839 ამავე სახლის სარდაფის კიბის გადაკეთების შესახებ.